# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 79

"2" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის ზონკარის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, წინამძღვრიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ზონკარის სახელი თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**2.** დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

Y_ 4630437.1491
ზღვისპირა ქუჩა
X_479389.7513
Y_ 4630262.605